შიდა აუდიტის სისტემის განვითარების თავისებურებები საბანკო-საფინანსო საქმიანობის კონტროლის სისტემაში

ჯაბა ბერაძე
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: jabanaber@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საბანკო ეკონომიკური უსაფრთხოების რეგულირების როლი და მნიშვნელობა. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება შეიძლება განხორციელდეს მთლიანი სისტემის ფარგლებში და ეს უნდა ეფუძნებოდეს საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს. როგორიცაა: საქართველოს კანონი "შიდა აუდიტისა და პერსონალის ინსპექტირების შესახებ" (კანონი აუდიტორების შესახებ). კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკაში დამტკიცებული მოდელები (COSO), რომელიც საშუალებას აძლევს ბანკის ოპერატიულ მენეჯმენტს წინასწარ გამოავლინოს რისკები და შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებები ძირითადი ფუნქციონირებისათვის, როგორიცაა: ფინანსური საინფორმაციო, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, რაც უზრუნველყოფს სტაბილურობას და ეფექტურობას. ნაშრომში აგრეთვე განხილულია საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელსაც წარმოადგენს ფინანსური უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმირება და მათი შესრულებისა და მონიტორინგის მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი, ბუღალტერია, საბანკო-საფინანსო, კონტროლი, მონიტორინგი.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტის მიერ გამოცემული „აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულებები (ასპდ)", გამიზნულია მსოფლიოში აუდიტური პრაქტიკისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუდიტორისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად, კერძოდ, „ასპდ–1000 ბანკთაშორისი დასტურის პროცედურებში" განიხილება აუდიტორის ქმედებების თავისებურებანი იმ პროცედურებთან დაკავშირებით, რომლებიც ეფუძნება სხვა ბანკებიდან ბუღალტრულ ბალანსში ნაჩვენებ ნაშთებს და სხვა თანხებს პირდაპირი დასტურის მისაღებად, ასევე იმ პროცედურებს, რომლებიც მოითხოვენ სხვა ინფორმაციას ბალანსის გარეშე მუხლების მონაცემების დადასტურების მიღებას. ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს პროცედურები სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ აღნიშნულის გამო აუდიტორი ვალდებულია ამ პროცედურების განხორციელებისას გამოიყენოს ადგილობრივი პრაქტიკის მეთოდებიც.

სტანდარტში დეტალურად არის განხილული ის **ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებები,** რომელიც კერძო პირებთან ან საფინანსო დაწესებულებების საქმიან ურთიერთობებთან არის დაკავშირებული და ის მიზნები, რა დანიშნულებითაც უნდა იყოს გამოყენებული ეს ინფორმაცია. ამასთან ერთად, სტანდარტი განსაზღვრავს მოთხოვნების (ინფორმაციის მიღების) მომზადების, გაგზავნისა და პასუხის მიღების ფორმებსა და პროცედურებს, აგრეთვე დასტურის მოთხოვნების შინაარსს, რასაც ემსახურება ეს მოთხოვნა. სტანდარტში განხილულია მოთხოვნილი ინფორმაციის სახეობები, რომლებიც უფრო ხშირად სჭირდება აუდიტორს, აგრეთვე სხვა კატეგორიის ინფორმაციები, რაზეც დამოუკიდებელი დასტური არის საჭირო.

საბანკო-საფინანსო დაწესებულებების სამეურნეო ოპერაციების ანალიზის პროცესში მართვის წინაშე ხუთი ამოცანა დგას: 1. მონაცემთა აღრიცხვის სისრულე; 2. მონაცემთა აღრიცხვის სიზუსტე რეგისტრში სწორად და სათანადო პერიოდულობის დაცვით. 3. საქმიანი ოპერაციების კანონიერება; 4. ჩანაწერების სისრულე; 5. ჩანაწერების წარმოების სიზუსტე. კონტროლის დამატებითი მიზანია აქტივების

დაცვა, რომელიც გულისხმობს რომ მათზე ხელი მიუწვდება მხოლოდ იმ პერსონალს, ვისაც საამისოდ სათანადო ნებართვა აქვს.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა მოიცავს განსაზღვრის, შეკრების, კლასიფიკაციის, ანალიზის, საწარმოს გარიგებათა დოკუმენტირების პროცედურებს, აგრეთვე ასეთი პროცედურების რეალიზაციის პროცესში მიღებული დოკუმენტების დამოწმებას, რომელიც ეხმარება მმართველ რგოლს ეფექტურად აწარმოოს ბიზნესი და მართებულად შეადგინოს ფინანსური ანგარიშები.

კონტროლის პროცედურები წარმოადგენს იმ **ღონისძიებებისა და პროცედურების** ერთობლიობას, რომლებიც რჩება კონტროლის სისტემისა და ბუღალტრული აღრიცხვის ფარგლებს გარეთ. ეს ღონისძიებები გამიზნულია **უტყუარობათა** საგარანტიოდ, რომ საწარმოს მიერ დასახული მიზნები წარმოადგენს ფინანსური საქმიანობის შემოწმების სისტემის ნაწილს.

აუდიტის პროცედურის დროს აუდიტორი მრავალრიცხოვან გადაწყვეტილებებს იღებს – ზოგადი სტრატეგიის განსაზღვრიდან დაწყებული და განსაკუთრებული აუდიტორული პროცედურებისა და გამოსაყენებელი გადაწყვეტილებების შერჩევით დამთავრებული. ყველა ამ გადაწყვეტილებაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კლიენტის ფინანსური ანგარიშების შეფასებასთან დაკავშირებული რისკი. რისკის შეფასებისთვის კი აუცილებელია აუდიტორი კარგად ერკვეოდეს საწარმოს შიდა კონტროლის სტრუქტურაში.

შიდა კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული ღონისძიებები და პროცედურები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: კონტროლის ჩატარების პირობები, ფინანსური საქმიანობის შემოწმების პირობები, ფინანსური საქმიანობის შემოწმების სისტემა და კონტროლის პროცედურები. კონტროლის ჩატარების პირობები მოიცავს საწარმოს პერსონალის ურთიერთდამოკიდებულებებს, კომპეტენტურობას, საქმეში გაცნობიერებულობას და ქმედებებს, აგრეთვე მმართველ რგოლს, რამდენადაც იგი ზემოქმედებას ახდენს საქმიანი ოპერაციების წარმოებაზე. კონტროლის ჩატარების პირობები წარმოადგენს სხვადასხვა ფაქტორების ერთობლივ ზეგავლენას ღონისძიებებისა და პროცედურების ეფექტურობაზე, რომელთაც კავშირი აქვს კონკრეტულ კონტროლის სტრუქტურასთან. მაგალითად, შემოწმების ჩატარების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს მმართველი რგოლის ძალისხმევა საწარმოს მუშაობის სრულყოფისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს შიდა კონტროლის შემოღება და მისი პრაქტიკაში უწყვეტად გატარება. ხელმძღვანელობის მიერ ჩასატარებელი შიდა კონტროლის მონიტორინგის პროცესი მოიცავს იმის განხილვას, მუშაობს თუ არა პრაქტიკაში კონტროლის პროცედურები ისე, როგორც იყო ჩაფიქრებული და იცვლება თუ არა საჭიროებისამებრ. შიდა კონტროლის მონიტორინგის პროცესი შესაძლოა მოიცავდეს სხვა ღონისძიებებსაც, რომელიც ბიზნესის წარმართვის პოლიტიკის დაცვას უზრუნველყოფს.

მრავალ კომპანიაში, შიდა აუდიტორებს ან თანამშრომლებს, რომლებიც ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებენ, კომპანიის შიდა კონტროლის მონიტორინგის პროცესში მონაწილეობის მიზნით, ევალებათ განცალკევებული შეფასებების მომზადება. ისინი რეგულარულად ამზადებენ ინფორმაციას შიდა კონტროლის მუშაობის შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ შიდა კონტროლის საპროექტო კონსტრუქციისა და მისი მუშაობის შეფასების საკითხს, ინფორმაციას იძლევიან შიდა კონტროლის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მათი გაუმჯობესების რეკომენდაციებს.

მონიტორინგული საქმიანობა შესაძლოა ითვალისწინებდეს გარეშე მხარეებისაგან მოწოდებული ინფორმაციის გამოყენებას, რომელიც შესაძლოა ისეთ პრობლემებს ან სფეროებს გამოავლენს, რაც საჭიროებს გაუმჯობესებასა და სრულყოფას. კომპანიის მომხმარებლები (კლიენტები) შეუცნობლად ადასტურებენ საანგარიშსწორებო მონაცემებს თავიანთი ანგარიშფაქტურებისათვის ფულის გადახდით, ან საჩივრების გამოგზავნით მათზე დარიცხული თანხების გამო.

მცირე კომპანიებისთვის უფრო მეტად არის სარწმუნო, რომ უწყვეტ მონიტორინგულ საქმიანობას ოფიციალური სახე არ ექნება და შესრულდება კომპანიის ოპერაციების ერთიანი მართვის პროცესის ნაწილის სახით. ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილეობა ოპერაციებში ხშირად გამოავლენს მნიშვნელოვან შეუსაბამობებს მოსალოდნელ შედეგებთან და უზუსტობებს საფინანსო მონაცემებში, რასაც მოჰყვება გამოსასწორებელი ზომების გატარება შიდა კონტროლის მიმართ.

შიდა კონტროლის პროცესი არის პროცესი, რომელსაც გეგმავენ და წარმართავენ მმართველი სტრუქტურები, ხელმძღვანელობა და სხვა პერსონალი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ მიიღწევა

კომპანიის მიზნები ფინანსური ანგარიშგების სანდოობის, ოპერაციების ეფექტიანობისა და მწარმოებლურობის, ასევე შესაფერის კანონებთან და მარეგულირებელ ნორმატივებთან შესაბამისობის შესახებ. აქედან გამომდინარე, შიდა კონტროლი იმ მიზნით პროექტდება და ინერგება, რომ გამოვლინდეს ბიზნეს-რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი მიზნის მიღწევას.

შიდა კონტროლი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან, როგორიცაა ა)კონტროლის გარემო; ბ)კომპანიის მიერ გამოყენებული რისკის შესაფასებელი პროცესი; გ) მაკონტროლებელი საქმიანობა; დ) საინფორმაციო სისტემა, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ბიზნეს-პროცესები და ინფორმირება; ე) კონტროლის პროცედურების მონიტორინგი.

შიდა კონტროლის სისტემის მოდელირება საბანკო ბიზნესის მართვის მექანიზმში.

ბანკში შიდა აუდიტის (კონტროლის) სისტემის ძირითად დანიშნულებას წარმაოდგენს შემოწმების შემდეგი მიმართულებით წარმართვა, კერძოდ: ა) მოქმედი კანონმდებლობის დაცვა; ბ) საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობა მისი განვითარების გეგმასთან; გ) ფინანსური და სამმართველო ინფორმაციის სარწმუნოობა, ოპერატიულობა და კონტროლი; დ) ბანკის ლიკვიდურობის, რენტაბელობისა და მდგრადობის შენარჩუნებისათვის

გატარებულ ღონისძიებათა რაციონალურობა.

საბანკო – საფინანსო ბიზნესში მიმდინარე და მომდევნო კონტროლის გარდა, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების თანახმად უნდა ფუნქციონირებდეს შიდა აუდიტის (კონტროლის) სისტემა. საქართველოში შიდა კონტროლის აუდიტის სისტემის რეგულირება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ (2010 წლის 10 მარტი) და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე. საქართველოში ასევე ფუნქციონირებს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში (საქართველოს ბაფ–ი) შიდა აუდიტის კომიტეტი.

საქართველოში ნაკლებად პოლუპარულია შიდა კონტროლის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: რისკის მართვა და საინფორმაციო სისტემები. ამ ფაქტის ახსნა იმით შეიძლება, რომ მათი გამოყენება საკმაოდ სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

კორპორაციის შიდა კონტროლის სისტემის შესაფასებლად ყველაზე ძირითადი მახასიათებელი მისი ადეკვატურობაა, ანუ იმის ცოდნა, თუ რამდენად სრულად და ზუსტად უზრუნველყოფს შიდა კონტროლი ორგანიზაციის მიზნების რეალიზაციას, მასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, რომელიც ეჭრდნობა აუდიტის პროცედურების გამოყენებას დაფუძნებულს 1994 წელს შემუშავებულ COSO – მოდელის პრინციპებზე. აქვე აღვნიშნავთ,რომ შიდა კონტორლის სისტემის ადეკვატურობა ავტომატურად იცვლება ორგანიზაციის მიზნებისა და რისკებვის ცვლილების შემთხვევაში. ამდენად, რეალურ პრაქტიკაში, ორგანიზაციები ყოველთვის უნდა ცდილობდნენ, გადაამოწმონ არსებული შიდა კონტორლის ეფექტიანობა. ყველაზე არსებითი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ შიდა კონტროლის ადეკვატურობის უზრუნველყოფა, შეიძლება იყოს: 1. ბიზნეს–პროცესების მუდმივი სრულყოფის (ოპტიმიზაციის) აუცილებლობა; 2. ორგანიზაციის რისკისადმი დაქვემდბარების ხარისხის ცვლილება; 3. ორგანიზაციის ინფორმაციული მოთხოვნილებების ცვლილება; 4. სუსტი წერტილების აღმოჩენა; 5. საკანონმდებლო ცვლილებები; 6. გარე აუდიტორებისა და სხვა საზედამხედველო ორგანოების რეკომენდაციები; 7. ინფორმაციის ძირითად მომხმარებლებთან ნდობის გაღრმავების აუცილებლობა; 8. კონტროლის ღონისძიებების არასაკმარისი გამჭვირვალობა; 9. მომხმარებლებისა და მომწოდებლებისათვის რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ COSO-ს შიდა კონტროლის წარმოდგენილი ხუთკომპონენტიანი სტრუქტურიზებული მოდელი საკმაოდ წარმატებითაა აპრობირებული დღევანდელ პრაქტიკაში, რომელსაც წარმატებით იყენებენ ორგანიზაციები და აუდიტური ფირმები. ამასთან, ბოლო ათწლეულში რისკის ფაქტორის დომინირების გამო წარმოიშვა რისკზე დაფუძნებული კონტროლის ისეთი მოდელის ფორმირების აუცილებლობა, რომელიც ყველა სახის რისკის ფაქტორს გააკონტროლებდა. ამ მიზნით, 2001 წელს COSO-ს დავალებით აუდიტურმა და საკონსულტაციო კომპანია რიცეწატერჰოუსეჩოოპერს – მაშეიმუშავა და 2004 წლის სექტემბერში გამოაქვყნა ახალი გავრცობილი მოდელი, რომლითაც COSO-ს აქამდე არსებულ სამ მიზანს და ხუთ ელემენტს დაემატა ერთი მიზნობრივი (კერძოდ, სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია) და სამი შემდეგი კომპონენტი:

1. მიზნის განსაზღვრა: სტრატეგიის განსაზღვრა, მზადყოფნა რისკის აღებაზე;

სქემა 1. COSO_ERM მოდელის ელემენტები



2. მომავალი მოვლენების იდენტიფიცირება. სტრატეგიასა და მიზნებზე ზემოქმედი ფაქტორები, მეთოდოლოგია და ტექნიკის ჩამოყალიბება, მოვლენების ურთიერთკავშირი, რისკები და შანსები, მოვლენების კატეგორიზაცია;

3. რისკზე რეაქცია. რისკზე რეაგირების შესაძლო ღონისძიებების იდენტიფიკაცია და შეფასება.

ამ მოდელის თავისებურება ისიცაა, რომ მისი შემქმნელები სტრატეგიულ და ოპერატიულ ღონისძიებებს შესაბამის რისკთან აკავშირებენ. ეს ეხმარება ორგანიზაციას, რომ რისკის მართვა აღქმულ და შეფასებულ იქნეს კომპლექსურად, რაც მენეჯმენტს საშუალებას აძლევს წინასწარ, ადრეულ ეტაპზევე შეიმეცნოს რისკი, შანსი და მათი პოტენციალი. ამ თვისების გამო ახალ მოდელს შეიძლება ეწოდოს რისკზე ორიენტირებული კონტროლის მოდელი, რომელიც სქემაზეა წარმოდგენილი.

შიდა კონტროლის სისტემის მოდელის ობიექტურობის ამაღლების შემდეგი კონცეპტუალური პრობლემა შიდა კონტროლის სისტემის შეფასებითი საქმიანობის სტანდარტების შემუშავებაა. დღესდღეობით, ასეთ პრაქტიკას ორი არსებითი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული სტანდარტები არეგულირებს. ესენია: შიდა აუდიტის ინსტიტუტის (ფლორიდა, აშშ) მიერ 2004 წელს გამოქვეყნებ-

ული სტანდარტები და აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის სტანდარტების საბჭოს (ამსს) მიერ მომზადებული ორი სტანდარტი, რომლებიც 2005 წლის იანვრიდან ამოქმედდნენ. ესენია:

1) მასს 1000 – მარწმუნებელიგარიგების საერთაშორისო სტრუქტურული საფუძვლები და

2) მასს 3000 – მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების საფინანსო ინფორმაციისა აუდიტისა და მიმოხილვის გარდა.

ამ სტანდარტების მიღებით, აუდიტორული საქმიანობისგან ფორმალურად გაიმიჯნა ამ უკანასკნელის შედარებით არადეტერმინირებული და არატრადიციული ნაწილი – მარწმუნებელი საქმიანობა (Assurance Service). აუდიტორული საქმიანობის ასეთმა დეკომპოზიციამ ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო შიდა კონტროლის სისტემის, არამედ კორპორაციული მმართველობის, როგორც შიდა კონტროლის კონკრეტული კონცეფციების შესახებ დამოუკიდებელი და კომპეტენტური აზრის გამოთქმას.

შესაბამისად, ფინანსური უსაფრთხოების მაღალი დონის მისაღწევად, ბანკი უნდა ატარებდეს სამუშაოებს, რათა უზრუნველყოს მისი ფუნქციონირების ისეთი ძირითადი შემადგენლობის სტაბილურობა და ეფექტურობა, როგორიცაა: ფინანსური, ინფორმაციული, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, საკადრო და სამართლებრივი შემადგენლები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე რ. საბანკო მენეჯმენტი. თბ. „უნივერსალი". 2009.

2. კიკნაძე შ. შიდა კონტორლის სისტემა / ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა". საქ.ბაფ. I. თბ. 2006. N10–11.

3. ლიპარტია ზ. – შიდა კონტროლის სისტემის მოდელირება საბანკო ბიზნესის ეკონომიკური უსაფრთხოების რეგულირების მექანიზმში". ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა" - XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. N3. გვ 78–82.

4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ". 2010.

5. ქუთათელაძე რ. – „მმართველობითი აუდიტის როლი კომერციული ბანკის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში". ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა" - XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. მაისი – ივნისი. 2011 წ., გვ 72–77.

6. ქოქიაური ლ – „საბანკო საქმიანობის საფუძვლები" (საბანკო საქმე) ტომი 1.
თბ. „პოლიგრაფი" 2005.

7. ცაავა გ. საბანკო საქმე. თბ. 2005.

8. Financial institution management, Fred C. Keager, Prentice-Hall, 2006.

9. Белых л.п. устойчивость коммерческих банков. М. Банки и Биржи. 2007.

10. www.thelia.org

FEATURES OF THE DEVELOPMENT OF THE INTERNAL AUDIT SYSTEM OF BANKING – FINANCIAL ACTIVITIES CONTROL SYSTEM

JABA BERADZE
Phd of GTU
E-mail: jabanaber@gmail.com

Summary

In the article is estimated the role and importance of interior system in the case of banking business economic safety regulation. Besides, is emphasized, that the ruling of economic safety can be fulfilled within the whole administration system and it should be based on various legislative normative acts of Georgias Law "about the interior audit and inspection of the stuff", (the law about auditors occupation), in the international practice of controlling, approved models (COSO-ERM), which gives the opportunity to the bank's operative management to recognize in advance the risk potential and work out the concrete conceptive view of banks functioning basic stuff, such as: financial informative, technical-technological, lawful for providing the stability and effectiveness. In discussed an one of the most important function of banking management, which represents the formalized process for determining the certain administrative sums for manifestation the priorites of financial safety strategy and in formation of their mechanisms fulfillment on the base of administrative audit method in commercial banks, in revalling the optimal version of ruling and for realization of business plan of banking oxxupation while fulfilling the monitoring.